საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №3154-ო
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 27 დეკემბრის №-- წინადადებისა და -- -- 2018 წლის 18 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 15 მაისის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 08 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

1. წინადადება/საჩივარში მითითებული ფაქტები:

წინადადება/საჩივარში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 22 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, სადაც არსებითად განიხილებოდა -- -- სისხლის სამართლის საქმე, -- -- სასამართლოს მოსამართლე - -- -- დაარღვია სამოსამართლო ეთიკის ნორმები. კერძოდ, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსამართლემ ადვოკატ -- -- მიმართა შემდეგი სიტყვებით: „-- --“

ადვოკატ -- -- განცხადებით, მოსამართლემ ზემოაღნიშნული გამონათქვამით იგი შეადარა -- --, შელახა მისი პატივი და ღირსება, რითაც მოსამართლემ დაარღვია არამარტო სამოსამართლო ეთიკის ნორმები, არამედ შეურაცხყოფა მიაყენა მართლმსაჯულების ინსტიტუტს.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 22 დეკემბერს, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- არსებითად განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს №-- ბრალდებულ -- -- მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის ანალიზიდან დადგინდა, რომ სასამართლო სხდომა გაიხსნა 17:04:43 საათზე.

მოსამართლემ მხარეებს შეახსენა, რომ სასამართლო იყო დასკვნითი სიტყვების ეტაპზე და ვინაიდან ბრალდების მხარეს უკვე ნათქვამი ჰქონდა თავისი დასკვნითი სიტყვა, მოსამართლემ დაცვის მხარეს მოუწოდა, რომ წარედგინა სასამართლოსთვის დასკვნითი სიტყვა.

ადვოკატმა -- -- სასამართლოს განუცხადა, რომ იგი დასკვნითი სიტყვისთვის მზად არ იყო და ითხოვა სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადება. ადვოკატის განმარტებით, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ერთკვირიანი ვადა არ იყო საკმარისი საქმის მასალების სრულად გასაცნობად. -- -- განცხადებით, საქმე იყო მრავალტომიანი, იგი შედგებოდა 2,000 (ორი ათასი) გვერდისგან, ჩატარებული იყო 35 სასამართლო სხდომა, რომლის გასაცნობადაც ესაჭიროებოდა დამატებითი დრო.

მოსამართლე -- --, სასამართლო სხდომის მიმდინარეობის 17:17:18 საათზე მიიღო სხდომის გადადების გადაწყვეტილება და მხარეს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „-- --“

მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 25 დეკემბერს, 13:00 საათზე.

3. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა. იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულების „6.6“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულების „6.6“ ქვეპუნქტი თავის თავში მოიცავს რამდენიმე

მიმართულებას მათ შორის მოსამართლის ადვოკატთან დამოკიდებულების ეთიკურ სტანდარტებს კერძოდ, კომენტარების 214-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ ადვოკატთან ურთიერთობის პროცესში, მოსამართლემ უნდა მოთოკოს გაღიზიანება და რისხვა. იმის მიუხედავად, თუ რა არის განხილვის კონკრეტული საგანი, მოსამართლის რეაქცია მშვიდი და მოზომილი, გაწონასწორებული უნდა იყოს. მაშინაც, თუ ადვოკატის უხეში ქცევა მის პროვოცირებას ისახავს მიზნად, მოსამართლემ სათანადო ზომები უნდა მიიღოს დარბაზზე კონტროლის შესანარჩუნებლად, ადვოკატის მიმართ რაიმე საპასუხო ზომების გარეშე. თუ შენიშვნა აუცილებელია, ზოგჯერ უმჯობესია, ის საქმის განხილვის დროს არ გაკეთდეს. მოსამართლემ არასდროს არ უნდა გააწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა უსაფუძვლოდ და მრავალგზის, არ უნდა გააკეთოს შეურაცხმყოფელი ან დამცინავი კომენტარი ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებების თაობაზე. მეორე მხრივ, არცერთი მოსამართლე არ არის ვალდებული, მოუსმინოს ადვოკატს, რომელიც ბოროტად იყენებს პროცესს, აშკარად უსაფუძვლო და გაუმართლებელი, სუსტი მოსაზრებები მოჰყავს, ან შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს, სხვა ადვოკატებს, საქმის მხარეებსა თუ მოწმეებს, და არ შეაწყვეტინოს მას სიტყვა.[1]

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ ადვოკატი -- -- ბოროტად სარგებლობდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია.

ადვოკატის არგუმენტაცია, რომ იგი არ იცნობდა საქმის მასალებს, იყო სუსტი და გამოხატავდა უპატივცემულო დამოკიდებულებას მართლმსაჯულების მიმართ, ვინაიდან სასამართლოს მხრიდან მას განსაზღვრული ჰქონდა გონივრული ვადა საქმის მასალების გასაცნობად. ამდენად, ობიექტური დამკვირვებლის თვალში, რჩება განცდა, რომ ადვოკატი სათანადო გულისხმიერებით არ მიუდგა სასამართლოს წინაშე მისთვის განსაზღვრული პროფესიული ვალდებულებების შესრულებას.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

შესაბამისად, მოსამართლის მიზანს სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების თავიდან არიდება წარმოადგენდა. მიუხედავად, იმისა, რომ მოსამართლემ არაეთიკურად მიმართა მხარეს, აღნიშნული მიმართვა მხოლოდ პროცესის სრულყოფილად წარმართვისაკენ იყო მიმართული. რაც, მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, მართალია მოსამართლეს ევალება იყოს ზომიერი და თავშეკავებული, თუმცა მოსამართლემ ამავე დროს უნდა უზრუნველყოს პროცესის სწორად წარმართვა, ეფექტური, სწრაფი და ამავე დროს ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლეები და ადვოკატები სხვადასხვა როლს თამაშობენ სასამართლო პროცესში, მაგრამ ორივე პროფესიის წვლილი აუცილებელია, რათა კანონის მოთხოვნების დაცვით სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილება იყოს მიღებული ყოველ სასამართლო

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 196
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf
[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

პროცესთან დაკავშირებით.[3] CCJE-ი რამოდენიმე სხვა ასპექტთან ერთად, ასევე ხაზს უსვამს, რომ „პროცესუალური ასპექტების“ გათვალისწინებით ზოგადად მართლმსაჯულების ერთ-ერთი მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური საქმის შედეგის ხარისხი დიდწილადაა დამოკიდებული მანამდე განხორციელებულ პროცესუალურ ნაბიჯებზე (მაგ. პოლიციის, პროკურატურის, კერძო ადვოკატების ან მხარეების მიერ ინიცირებულ ქმედებებზე).[4]

მოსამართლის მოწოდება მომდევნო პროცესისთვის ადვოკატის მომზადებასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების სურვილს და მიმართული იყო ხარისხიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისაკენ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

აღსანიშნავია, რომ ხარისხიანი მართლმსაჯულების წარმართვის ერთ-ერთი საშუალება მხარეთათვის ადვოკატის მიერ ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევაა. მოსამართლის ქმედება სწორედ ადვოკატის მიერ კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის, ისევე, როგორც სწრაფი, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების მიღწევისაკენ იყო მიმართული.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოთქმული ფრაზა არ შეესაბამება მოსამართლისადმი დადგენილ სტანდარტებს და შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აღნიშნულ ფრაზას არ გამოუწვევია არსებითი ხასიათის ზიანი, არ შეუქმნია მხარეთა მიერ უფლებების განხორციელებისათვის რაიმე საფრთხე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსამართლის ქმედება არ უნდა შეფასდეს როგორც პროცესის მონაწილისადმი უპატივცემულობის გამოხატვა და მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ

[3] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №16 (2013), მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ, გვ.3, §4

[4] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №6 (2004), გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით, გვ.93, §36

გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №3154-ო/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი